ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. გ., ლ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.12.2017

საჩივრის რეგისტრაციის №099/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. გე.-სთვის /სიითი №/ სპეციალიზაცია – საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. გე.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2017 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. გე.-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 05 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინეს მ. გ.-მ და მისმა დამ ლ. გ.-მ, რომელიც დისციპლინურ საქმეში ჩაერთო, როგორც მომჩივანი.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ გაიცნეს შ. ნ., რომელიც იყო მოხუცი და სჭირდებოდა დახმარება და მოვლა-პატრონობა. საჩივრის ავტორთა განცხადებით, შ. ნ.-ის თხოვნით, ისინი უვლიდნენ მას, რომელიც ცხოვრობდა ქარელის რაიონში - სოფელ ახალსოფელში. შ. ნ.მ

გარდაცვალებამდე, თავისი სურვილით დაწერა შინაურული ანდერძი, იმის თაობაზე, რომ ის ჩუქნიდა თავის ქონებას ლ. გ.-ს და მას ენდობოდა სიცოცხლის ბოლომდე.

1.3 საჩივრის ავტორ მ. გ.-ის განცხადებით, 2017 წლის აპრილის თვეში მას შემთხვევით ქუჩაში შეხვდა ადვოკატი მ. გე., რომელმაც უთხრა, რომ ის ადრე უწევდა იურიდიულ დახმარებას შ. ნ.-ს და შესაბამისად, მას შეეძლო დახმარებოდა შ. ნ.-ის მიერ გაცემული ანდერძის საფუძველზე საცხოვრებელი სახლის გადაფორმების საკითხში, რის თაობაზეც შეთანხმება შედგა საჩივრის ავტორებსა და ადვოკატს შორის.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ მ. გე.-ს არ განუხორციელებია არცერთი იურიდიული მოქმედება მათ საქმესთან დაკავშირებით, თხოვნის მიუხედავად არ არ წარმოადგინა მათი ინტერესები სასამართლოში.

1.5 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატი არ აწვდიდა მათ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, ადვოკატმა მხოლოდ ის განუცხადა მათ, რომ შ. ნ.-ის საცხოვრებელ სახლზე ყადაღის მოხსნის დოკუმენტი უნდა მოეპოვებინა.

1.6 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატს მოსთხოვეს გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, ვინაიდან მან არ აწარმოა მათი საქმე, თუმცა ადვოკატი უარს აცხადებდა ჰონორარის დაბრუნებაზე. მომჩივანთა განმარტებით, ადვოკატთან დაკავშირებისას, სატელეფონო ზარს ადვოკატის ვაჟმა უპასუხა და საჩივრის ავტორებს დაემუქრა, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა.

1.7 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი მ. გე., მისი და - მა. გე. მათ აყენებენ შეურაცხყოფას და ემუქრებიან. მომჩივანთა განცხადებით, მა. გე. ისინი სატელევიზიო ეთერით შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია.

1.8 საჩივრის ავტორთა განცხადებით, 2018 წლის 04 იანვარს ისინი იმყოფებოდნენ ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარმომადგენელთან დ. ა.-თან ერთად, რა დროსაც, მათ შეხვდათ ადვოკატი მ. გე. და მათ წარმომადგენელს მიმართა ხმამაღალი ტონით, რომ არ დაეცვა მათი ინტერესები.

1.9 საჩივრის ავტორთა განცხადებით, მათ ადვოკატ მ. გე.-სთვის საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, 2017 წლის მაისის თვეში სრულად გადახდილი აქვთ 975 (ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ლარი. მომჩივანთა განცხადებით, ადვოკატს შეუძლია მიღებული ჰონორარიდან გამოქვითოს 200 (ორასი) ლარი, დანარჩენი თანხა უნდა დაუბრუნოს მათ, რის შემდეგაც მასთან პრეტენზია აღარ ექნებათ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. გე.-მ 2018 წლის 02 თებერვალს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და 2018 წლის 05 თებერვალს და 15 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომებზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტებები.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი მ. გ. მისი მარწმუნებელი არასდროს ყოფილა და მისგან არც საადვოკატო მომსახურების ჰონორარი მიუღია. ადვოკატის განმარტებით, მას სამართლებრივი შემხებლობა ჰქონდა ლ. გ.-თან, რომელსაც მას, როგორც ადვოკატს იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა 2017 წლის აპრილის თვეში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ლ. გ.-ის სამოქალაქო საქმე ეხებოდა 2017 წლის მარტის თვეში შ. ნ.-ის მიერ დაწერილ შინაურულ ანდერძს, სადაც იგი უთითებდა, რომ იყო მოხუცი და მის ქონებას ჩუქნიდა ლ. გ.-ს. ადვოკატის განცხადებით, შეთანხმების შესაბამისად, მას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გაეუქმებინა შ. ნ.-ის საცხოვრებელ სახლზე რეგისტრირებული ყადაღა, ასევე, ზემოაღნიშნული ანდერძი დაერეგისტრირებინა სანოტარო ბიუროში. ადვოკატის განცხადებით, ლ. გ.-მ მას უთხრა, რომ შ. ნ. იყო მძიმე მდგომარეობაში და შესაბამისად, მან ვერ შეძლო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოთხოვა და მის საფუძველზე ყადაღის გაუქმებისათვის საჯარო რეესტრისთვის მიმართვა. ადვოკატი უარყოფს იმ გარემოებას, რომ მას სასამართლოში უნდა ეწარმოებინა ლ. გ.-ის საქმე, რადგან ამაზე შეთანხმება არ ყოფილა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ის ადრე აწარმოებდა შ. ნ.-ის საქმეს, შესაბამისად, მას ჰქონდა შ. ნ.-ის მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა, რის საფუძველზეც მან, როგორც შ. ნ.-ის წარმომადგენელმა უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა გადაწყვეტილება და მის საფუძველზე მიმართა საჯარო რეესტრს ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნით.

2.5 ადვოკატის განცხადებით, შ. ნ.-ის მიერ გაფორმებული ანდერძი იყო ფორმადაუცველად შედგენილი და პრობლემური, შესაბამისად, ხაშურში მყოფმა სანოტარო ბიუროებმა უარი განუცხადეს მის რეგისტრაციაზე, რის შემდგომაც, მან ასევე მიმართა გორში მდებარე სანოტარო ბიუროებს, სადაც ასევე უარი განუცხადეს ანდერძის რეგისტრაციაზე. ადვოკატის განცხადებით, მან შეძლო ანდერძის დარეგისტრირება ქარელში მდებარე სანოტარო ბიუროში და ანდერძის საფუძველზე მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მან შეთანხმების შესაბამისად გაუწია ლ. გ.-ს იურიდიული მომსახურება და გადასცა საქმის მასალები. ადვოკატ მ. გე.-ის განმარტებით, ლ. გ.-მ საქმის დასრულების შემდგომ გააუქმა მასზე გაცემული მინდობილობა და კმაყოფილება გამოხატა მისი მომსახურებით.

2.7 ადვოკატ მ. გე.-ის განცხადებით, რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, მას შეხვდა ლ. გ. და უკმაყოფილება გამოხატა მისთვის გადაცემული ჰონორარის ოდენობაზე და უთხრა, რომ მას „თბილისის ფასებით გამოართვა ჰონორარი“, მის მიერ გაწეულ იურიდიულ მომსახურებაზე კი პრეტენზია არ გამოუთქვამს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მ. და ლ. გ.-ები მას ურეკავენ და გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნებას სთხოვენ, ასევე დედამისიც მივიდა მასთან თხოვნით, რომ დააბრუნოს მიღებული ჰონორარი. ადვოკატის განცხადებით, ხაშურში, კ.-ს ქუჩაზე მას თავს დაესხნენ მ. და ლ. გ.-ები და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, დაემუქრნენ, რის თაობაზეც საგამოძიებო ორგანოში საქმეა აღძრული.

2.9 ადვოკატის განცხადებით, ლ. გ.-თან მას წერილობით აქვს გაფორმებული შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. მ. გე.-ის განცხადებით, მისთვის ლ. გ.-ს გადახდილი აქვს ჰონორარის სახით 200 (დოლარი) და 100 (ასი) ლარი. ადვოკატის პოზიციის მიხედვით, მას ლ. და მ. გ.-ების ადვოკატისათვის სასამართლოში ყოფნის დროს შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. გე. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია – საერთო. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 მ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 13 დეკემბერს. ლ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 05 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2017 წლიდან დღემდე. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. გე.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. გე.-მ არ აწარმოა საჩივრის ავტორთა საქმე, მათ შორის საჩივრის ავტორებს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები „.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

5.3 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5.4 ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით პერიოდულად მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. მათ შორის უნდა გააცნოს საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია/დოკუმენტები.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორთა პრეტენზიის მიხედვით, 2017 წლის აპრილის თვეში ისინი შეუთანხმდნენ ადვოკატ მ. გე.-ს საადვოკატო მომსახურების თაობაზე, კერძოდ, მას უნდა ეწარმოებინა მათი სამოქალაქო საქმე, რაც ეხებოდა შ. ნ.-ის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე საცხოვრებელი სახლის მათ სახელზე გადაფორმების საკითხს, ადვოკატს უნდა წარმოედგინა მათი ინტერესები სასამართლოში, თუმცა შეთანხმების მიუხედავად, ადვოკატმა არ აწარმოა მათი საქმე და არ განახორციელა წარმომადგენლობა სასამართლოში. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ადვოკატ მ. გე.-ს საწინააღმდეგო პოზიცია აქვს და აღნიშნავს, რომ მ. გ.-თან ის იურიდიული მომსახურების თაობაზე არ შეთანხმებულა, არამედ ის შეუთანხმდა მხოლოდ მის დას - ლ. გ.-ს, რომლისთვისაც საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია შ. ნ.-ის საცხოვრებელ სახლზე რეგისტრირებული ყადაღის გაუქმებასთან და შინაურული ანდერძის სანოტარო ბიუროში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, სასამართლოში წარმომადგენლობის თაობაზე კი შეთანხმება არ ყოფილა. ადვოკატ მ. გე.-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება, რომ შ. ნ.-ის უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება - ს.ფ. 37). საქმეში წარმოდგენილია ადვოკატ მ. გე.-ის მიერ ქარელის რაიონში მდებარე სანოტარო ბიუროში წარდგენილი განცხადება, რომლის ნამდვილობაც დამოწმებულია ნოტარიულად. მოცემული განცხადების მიხედვით, ადვოკატი მ. გე. უთითებს, რომ 2017 წლის 14 აპრილს გარდაიცვალა შ. ნ., მისი მარწმუნებელი ლ. გ. არის შ. ნ.-ის ანდერძისმიერი მემკვიდრე, რაც შინაურული ანდერძით დასტურდება და ითხოვს მისი მარწმუნებელი - ლ. გ. ცნოს ნოტარიუსმა შ. ნ.-ის მემკვიდრედ და გაიცეს სამკვიდრო მოწმობა (2017 წლის 07 ივლისის განცხადება - ს.ფ.42). ადვოკატ მ. გე.-ის ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, მან ლ. გ.-ის საქმის წარმოების დასრულების შემდგომ მ. გ.-ს გადასცა საქმის მასალები, რის თაობაზეც გააფორმა მიღება ჩაბარების აქტი (ს.ფ.54).

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისიაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებითა და საქმის მასალებით არ დასტურდება კონკრეტულად არსებობდა თუ არა იურიდიული მომსახურების თაობაზე შეთანხმება მ. გ.-სა და ადვოკატ მ. გე.-ს შორის. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ, საქმეში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება, მათ შორის რწმუნებულება ან/და საადვოკატო მომსახურების თაობაზე წერილობითი შეთანხმება, რაც დაადასტურდება მათ შორის, როგორც ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ფაქტს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მ. გ.-ის მიერ ადვოკატის მიმართ წარმოდგენილი პრეტენზიების შეფასება.

5.7 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება ლ. გ.-სა და ადვოკატ მ. გე.-ს შორის იურიდიული მომსახურების თაობაზე შეთანხმება (2017 წლის 07 აპრილის შეთანხმება - ს.ფ. 52, 2017 წლის 27 აპრილის შეთანხმება ს.ფ.53, 2017 წლის 02 მაისს გაფორმებული მინდობილობა - ს.ფ. 43).

5.8 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. გ.-სა და ადვოკატ მ. გე.-ს შორის 2017 წლის 07 აპრილს გაფორმებული შეთანხმების პირველ პუნქტში ზოგადად არის აღნიშნული, რომ „მოქალაქე ლ. გ.-ს სჭირდება სამართლებრივი მომსახურება, კერძოდ, მას სჭირდება დაცვა სამოქალაქო სამართლის საქმეზე სასამართლოში“. მოცემულ პუნქტში სიტყვა „სასამართლოში“ გადახაზულია, თუმცა ამავე შეთანხმების მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ადვოკატი მ. გე. იღებს ვალდებულებას დაიცვას მოქალაქე ლ. გ. სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში“ (ს.ფ.52). ადვოკატ მ. გე.-სა და ლ. გ.-ს შორის იურიდიული მომსახურების თაობაზე 2017 წლის 27 აპრილს გაფორმებული შეთანხმების პირველ პუნქტშიც ასევე გადახაზულია სიტყვა „სასამართლოში“ და აღნიშნულია, რომ ლ. გ.-ს სამართლებრივი დახმარება სჭირდება სამოქალაქო სამართლის საქმეზე და სანოტარო ბიუროში, თუმცა ამავე შეთანხმების მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ ადვოკატმა მ. გე.-მ აიღო ვალდებულება დაეცვა სასამართლოში ლ. გ.-ის ინტერესები (ს.ფ.53).

5.9 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №027/10 აღნიშნა, რომ: „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება“.

5.10 მოცემულ შემთხვევაში, ბუნდოვანია ის გარემოება, თუ რა იურიდიული მოქმედებები უნდა განეხორციელებინა ადვოკატს და რა არ განახორციელა. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ მ. გე.-ის მიერ იურიდიული მომსახურების თაობაზე წარმოდგენილ ორივე ხელშეკრულებაში მოცემული პუნქტები შინაარსობრივად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მათ შორის, ბუნდოვანია ის გარემოება არსებობდა, თუ არა მხარეთა შორის შეთანხმება სასამართლოში წარმომადგენლობის თაობაზე, ზოგადადაა მითითებული, რომ ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კლიენტის სამოქალაქო საქმე, მაგრამ არ არის აღნიშნული კონკრეტულად შეთანხმების საგანი, რა იურიდიული მოქმედებები უნდა შეესრულებინა ადვოკატს და რა ეტაპამდე, მათ შორის რა იგულისხმებოდა სანოტარო ბიუროში ლ. გ.-ის „ინტერესების დაცვაში“. მიზანშეწონილი იქნებოდა იურიდიული მომსახურების გაფორმებისას ადვოკატ მ. გე.-ს დაეკონკრეტებინა ხელშეკრულების საგანი. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება.

5.11 ეთიკის კომისიაში მხარეთა მიერ წარმოდგენილი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებისა და მოცემული საქმის მასალების შეფასების გათვალისწინებით არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება და არაკვალიფიციურად აწარმოა საჩივრის ავტორის - ლ. გ.-ის საქმე.

5.12 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემობაზე, რომ ადვოკატ მ. გე.-ის მიერ წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების შეთანხმებებზე გამოსახულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო და მიუთითებს 2014 წლის 15 ნოემბერს ეთიკის კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება სატიტულო ფურცელზე - ე.წ. „ბლანკზე“, ბეჭედზე და მსგავს ატრიბუტებზე და აღნიშნავს, რომ „ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მიერ ს.ს.ი.პ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება კანონით არ არის აკრძალული, თუმცა, ასეთი ქმედება შესაძლოა მესამე პირებისათვის იყოს შეცდომაში შემყვანი, გამოიწვიოს კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს გაიგივება ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციასთან და შექმნას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე. ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა მისი, როგორც კონკრეტული ს.ს.ი.პ. - ის განმასხვავებელია და გამოარჩევს მას სხვა იურიდიული პირებისაგან, დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ და მიიჩნევა ასოციაციის კუთვნილებად. ეთიკის კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებას სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე, სავიზიტო ბარათზე, ორდერზე, სარეკლამო ბანერზე და სხვა საშუალებებზე, სადაც ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებით, შესაძლებლია მიჩნეული იქნეს, რომ საკუთარ პოზიციას გამოხატავს ასოციაცია და არა კონკრეტული პირი“.

5.13 საჩივრის ავტორის - ლ. გ.-ის პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა მას მიაყენა შეურაცხყოფა და დაემუქრა.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. გე.-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

5.15 ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა ნდობის პრინციპს ემყარება. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. ნდობის პრინციპის დაცვა შეუძლებელია კლიენტისადმი პატივისცემისა და მისდამი მორალურ-ზნეობრივი ნორმების დაცვის გარეშე. ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით, ილახება კლიენტის უფლებები და თავისთავად, კლიენტს ეკარგება ადვოკატისადმი ნდობა. ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, რაც მოიცავს პირველ რიგში, კლიენტისადმი პატივისცემის ვალდებულებას.

5.16 საჩივრის ავტორის - ლ. გ.-ის პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატ მ. გე.-ის მიერ მის სიტყვიერ შეურაცხყოფასა და მუქარას, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გარდა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისა, საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულება, იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატს განსხვავებული პოზიცია აქვს და აღნიშნავს, რომ მას თავად მიაყენა საჩივრის ავტორებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის თაობაზეც მან მიმართა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

5.17 საჩივრის ავტორთა პოზიციის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატ მ. გე.-ის შვილის და მისი დის - მა. გე.-ის მიერ მათთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ

ეთიკის კომისია შეისწავლის მხოლოდ ადვოკატის მიმართ შემოტანილ საჩივარს, მტკიცებულებებს, ისმენს მხარეთა ახსნა-განმარტებებს და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან არ აღძვრის თაობაზე. ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება შეაფასოს სხვა პირთა ქმედებები.

5.18 საჩივრის ავტორთა პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატს არ განუხორციელებია იურიდიული მომსახურება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მან მიიღო ჰონორარი.

5.19 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. გე.-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.20 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“.

5.21 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო

და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში".

5.22 საჩივრის ავტორები უთითებენ რომ საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, ადვოკატ მ. გე.-სთვის ჰონორარის სახით გადახდილი აქვთ 975 (ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ლარი, რომლის დაბრუნების შემთხვევაში, მათ ადვოკატის მიმართ პრეტენზია აღარ ექნებათ. ადვოკატი მ. გე. უარყოფს მოცემულ გარემობას და აღნიშნავს, რომ მას ლ. გ.-მ გადასცა ჰონორარის სახით 200 (ორასი) აშშ დოლარი და 100 (ასი) ლარი. ადვოკატი უთითებს, რომ ის არ დააბრუნებს მიღებულ ჰონორარს, რადგან მან შეასრულა საადვოკატო მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მხარეებს გაწეული იურიდიული მომსახურების მოცულობის და გადახდილი ჰონორარის ოდენობასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები აქვთ, ამასთან შესაბამისი მტკიცებულებით არ დგინდება, თუ კონკრეტულად რა რაოდენობის თანხა მიიღო ადვოკატმა, იმისათვის რომ გაეწია იურიდიული მომსახურება და რამდენად იყო მიღებული ჰონორარი შესრულებული სამუშაოს პროპორციული.

5.23 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორთა პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატის მიერ თანხის დაბრუნების ვალდებულებას, აღნიშნავს, რომ თანხების დაბრუნების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და ამ უფლების დაცვის თაობაზე საჩივრის ავტორებს შეუძლიათ ადვოკატს ედავონ სასამართლოს მეშვეობით.

5.24 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადვოკატ მ. გე.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №099/17 ადვოკატ მ. გე.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქარაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/